კიბერუსაფრთხოების ბიუროს დირექტორის

ბრძანება

MOD 6 19 00000048

02/10/2019

წარმომადგენლობითი ხარჯების გაცემის შესახებ

"საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 14 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე - 6 მუხლის "დ" და "რ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოსა და უკრაინის თავდაცვის სამინისტროებს შორის 2019 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის მიხედვით, 2019 წლის 06 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოში უკრაინის თავდაცვის სამინისტროს 4 კაციანი დელეგაციის ვიზიტის ორგანიზებულად ჩატარებისა და საპროტოკოლო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, დაევალოს:

ა) განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილებას, 6-8 ოქტომბერს (ორი ღამე) სტუმრების კაჭრეთში განთავსების (სასტუმრო "ამბასადორი კაჭრეთი", 4 პერსონა), 8-10 ოქტომბერს (ორი ღამე) სტუმრების თბილისში განთავსების (სასტუმრო "ბეტსი", 4 პერსონა), 06 ოქტომბერს ვახშმის სასტუმრო "ამბასადორ კაჭრეთში" (4 პერსონა), 9 და 10 ოქტომბერს - 13:00 საათზე, სადილის (5 პერსონა), 9 ოქტომბერს - 19:00 საათზე ოფიციალური ვახშმის (6 პერსონა) და 10 ოქტომბერს სტუმრების აეროპორტში ტრანსპორტირების ორგანიზება;

ბ) საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს, ბრძანების პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებ(ებ)ის ფინანსური უზრუნველყოფა, 10 ოქტომბერს სტუმრების აეროპორტში ტრანსპორტირება, აგრეთვე ბიუროს ლოგოიანი ჭიქის (4 ერთეული) და სასაჩუქრე ჩანთის (4 ერთეული) შეძენა/გამოყოფა.

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.:დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; №6).

საფუძველი: ა. კაპანაძის 01.10.2019 წ. №MOD 9 19 01006936 მოხსენებითი ბარათი.